№ 122

ხუთშაბათი, 11 ივნისი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 122

ხუთშაბათი, 11 ივნისი, 1898 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**თავადი ილია დიმიტრის ძე ხიდირბეგიშვილი, მეუღლე მისი კნ. სალომე და შვილები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას პირველი საყვარელის დედისა, მეორე დედამთილისა და დანარჩენნი დიდიდედისას

**კნ. მარიამ იორამის ასულის ხიდირბეგიშვილისას**

და სთხოვენ მობრძანდნენ დაბა სურამში ხუთშაბათს, 11 ივნისს, დილის 9 საათზედ, საკუთარს სახლში, მიცვალებულის განსვენებაზედ დასასწრებლად. (2—98—2)

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახალი წიგნი

**ლექსები**

**თხზულ. განდეგილისა,** ავტორის სურათით. ფასი ათი შაური (გაგზავნით თერთმეტი შაური). ვინც ათ ცალს დაიბარებს, წიგნი ცხრა შაურად დაეთმობა, ოცდა ხუთ ცალზედ მეტი—ორ აბაზად. (5—4)

**საკომერციო კურსები**

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეჩვიდმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1898—9 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3), ბუხგალტერია (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მთის ქუჩაზე, ათვთაჭის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ზ. მანუჩაროვს, ტფილისს. (24—99—1)

**უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო**

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ პარასკევს, 12 ივნისს, ნაშუადღევის 2 საათზედ, მთავარ-მართებლის სასახლეში გამართულ იქმნება ხსენებულ სამზრუნველოს წევრთა

**საერთო კრება.**

კრებამ უნდა განიხილოს 1897 წლის ანგარიში, აარჩიოს საბჭოსი და სარევიზიო კომისიის წევრები და განიხილოს სხვა საქმეები. (3—უ.—2)

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(ბუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

**ვკისრულობ**

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**პლანების აღებას და ნიველიროვკას.**

**ალექსანდრე გრიგოლის ძე ხნეჟკოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.

**ტელეფონი** № 567.

(50—80—32).

**მთავრობის განკარგულებანი**

დათხოვნილ იქმნა თავისისავე თხოვნით ამიერ კავკასიის ოლქის საბჭოს ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი, სტატსკი სოვეტნიკი არტემიევი; ავადმყოფობისა გამო—ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი, კოლეჟსკი სოვეტნიკი, თავ. თუმანოვი.

დანიშნულ იქმნა სენაკის მომრიგებელი მოსამართლე გასნევსკი—ქუთაისის სადეპუტატო კრების წევრად მთავრობის მხრივ; ტფილისის ოლქის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი, კოლეჟსკი ასესორი დანილოვი—ტფილისის სამაზრო მომრიგებელ მოსამართლედ.

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელი, გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი ესსენტუკში 14 ივნისს აპირობს წასვლას.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარია და კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბი ამ ივნისის ნახევარში კოჯორს გადავა.

*** მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე არჩეულ იქმნა ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების საპატიო წევრად. დასახელებულმა საზოგადოებამ საპატიო წევრადვე ამოირჩია აგრეთვე მისი ყოვლად უსამღვდელოესობა გორის ეპისკოპოსი ლეონიდე.

*** ამ დღეებში ჩამოვა ტფილისს ურმიისა და სუპრაჰანის (სპარსეთშია) ეპისკოპოსი, ყოვლად სამღვდელო

## ფელეტონი

### ყ ა რ ა.

(ერთი ამბავი ლეკებთან ბრძოლისა)

(დასასრული *)

V

თუშ-ფშავ-ხევსურებს დიდი ცეცხლი გაეჩაღებინათ და გარს შემომსხდარნი იმ დღევანდელ ბრძოლის შესახებ ლაპარაკობდნენ. იმათაც დაჰკარგეს ბევრი ამხანაგი, მაგრამ რამდენი დაიხოცა ლეკი, ძნელი გასაგები იყო თუშ-ფშავ-ხევსურებისაგან; შეიძლება მხოლოდ ვთქვათ, რომ დავითის დროშამ გაამართლა თავისი სახელი: „ნუ დაგვიხვდები წინ, თუ სიცოცხლე არ მოგბეზრებია“.

— დიაღ, სთქვა ერთმა მილიციონერთაგანმა, დღეს გვიღალატა ვილაცამ და მე ვფიქრობ, რომ გზის მაჩვენებელი გვიღალატებდა. მაშ რად გვასწავლა ეს გზა? ლეკებს არაფერი არ დაეჯერებათ, ეგენი ლაპარაკობენ ერთს, ჰფიქრობენ და სჩადიან-კი სულ სხვას.

— სხვა მიზეზი არა არის რა, თუ არ ღალატი, დაემოწმა მეორე: არა ერთხელ და ორჯელ მოუტყუებივართ მაგათ. ჩამოსარჩობები არიან ყველანი! მადლობა ღმერთს, რომ დავითს მოუვიდა ფიქრში გზის ახვევა, თორემ ვერც ჩვენ გადავრჩებოდით ქვისა და ხერგის სეტყვას.

— მეც შენის აზრისა ვარ, დაეთანხმა კოჭლი დავითი, გენერალი ძალიან კარგს იზამდა, რომ ერთი მათგანი ჩამოერჩო ხეზედ. მაგალითი კარგი იქნებოდა, სხვებიც ჭკუას ისწავლიდნენ...

— სად არის თქვენი წინამძღოლი? წამოიძახა უცბად უნტერ აფიცერმა.

— მე ვარ წინამძღოლი, რა გინდა, უპასუხა დავითმა.

— მიიღეთ ტუსაღი, რომელმაც დაგვღუპა დღეს. გენერალმა ბძანა: ეხლავე ჩამოარჩეთო.

დავითმა ახედ-ჩახედა ფეხებამდის ტუსაღს და შემდეგ უბრძანა მილიციონერებს, რომ მიეღოთ.

— მოახსენე გენერალს, რომ ავასრულებთ იმისს ბრძანებას, მაგრამ ჩამორჩობით როგორ უნდა ჩამოვარჩოთ? აქ არამც თუ ხე, ჯაგიც-კი არ მოიპოვება არსად. ხევში ხომ არ ჩავიყვანოთ? იქნება თოფით დახვრეტა სთქვა.

— არა, სიტყვა-სიტყვით გადმოგეცი გენერლის ბრძანება: „ეხლავე ჩამოარჩეთო“. დახვრეტა არ შეიძლება მაგისი. სამხედრო კანონით მაგნაირი სიკვდილით დასჯა კეთილშობილურია, ჩამორჩობა-კი—სულ სხვა საქმეა...

— მაშ ავკუწავთ.

— გიმეორებ: „ეხლავე ჩამოარჩვეთო“! გაჯავრებით წამოიძახა უნტერ-აფიცერმა და გაბრუნდა უკან.

— ბრძანებაა, მიუბრუნდა ამხანაგებს დავითი; რა ვქნათ, მეტი ჩარა არ არის, წადით ერთი თხუთმეტი კაცი, იქნება აქ ახლო-მახლოვე მონახოთ რამე ხე.

ტუსაღი დარჩა ბანაკში ცეცხლთან. აბდული კარგად ჰხედავდა, რომ მისის სიცოცხლის წუთები დათვლილი იყო, იცოდა კარგად ისიც, რომ ჯარის უფროსი უბრალოდ სიტყვებს არა ჰხერჯავდა. დიაღ, აბდული ელოდდა სიკვდილს!.. გულმა დაუწყო აჩქარებით ძგერა. სისხლი აუვარდა თავში, თვალებში, რომელნიც ცეცხლს მისჩერებოდნენ, ცრემლი მოერია და ტყაპა-ტყუპით სცვიოდა ძირს.

— რადა, რისთვის, ჰფიქრობდა აბდული, რა დავაშავე... ნუ თუ ჩემის ათის წლის ერთგულებამ და თავ-განწირულებამ დამიმსახურა წაბილწება იმ ღირსებისა, რომლითაც კაცი ამაყობს და მოაქვს თავი? ოჰ, უკუღმართო ჩემო ბედო, უმადურო შვარცო!..

— რას დაღვრემილხარ ბებერ დედაკაცსავით, ზიზღით დასცინა დავითმა, ცრემლები არას გიშველის!

— დიაღ, დავით, ვტირი, მაგრამ ჩემი ცრემლი სიმხდალეს არა ჰნიშნავს. სიკვდილისა, იცოდე, არ მეშინიან. ეს ცრემლები გამოიწვია თქვენმა უსამართლობამ...

— უბრალოდ გოდება და ყბედობა მეტია. ცრემლი ვერას გიშველის. შენი ბედი გარდაწყვეტილია, უნდა გამოეთხოვო წუთი-სოფელს. შენ ისეთივე მართალი ხარ, როგორც მთელი თქვენი დაწყევლილი ხალხია მართალი.

— დავითო, ამაყად წამოიძახა აბდულმა: შენ მოვალე ხარ აღსრულებაში მოიყვანო უფროსის ბრძანება—ჩამომარჩო, მაგრამ კაცის შეურაცხება-კი არ არის პატიოსნება და არც უნდა გაძლევდეს სინიდისი მაგის ნებას!.. მე შენგან შებრალებას მოველოდი და არა დაცინვასა და შეურაცხებას...

— ჰმ, შევიბრალო და ისიც ლეკი!.. კარგი, რომ შეგიბრალო, რა გამოვა?

— ძალიან ბევრი: ჯერ ერთი, რომ შენ შეგიძლიან გამიადვილო წვალება.

— როგორ?

— გამიხსენი ხელები, ძალიან დამიბუჟდა, თოკები ჩამეჭრა ხორცში.

— არა უშავს-რა, მოითმენ.

— თუ ღმერთი გწამს, გამიხსენი. არ ინანებ. ერთს ნივთს გაჩვენებ და ყურში ერთ-ორს სიტყვას გეტყვი. მაშინ იქნება ცოტა მაინც მოლბეს შენი სასტიკი გული!..

— ხელები გაგიხსნა მოღალატეს? გაგანთავისუფლო, რომ შემდეგ გამექცე? ერიჰაა!.. ეგ ხერხი ვერ გაგივა. მე, მოხუცს, ვერ მომატყუებ...

— მამაცს დავითს, განთქმულს მთელს ხევსურეთში, ეშინიან უბრალო ტუსაღისა! უშიშარსა და ომებში გაწვრთნილს მეომარს ეშინიან, რომ უბედური, უსახლ-კარო ტუსაღი გაიქცეს!.. არა, შენ დავითი არა ხარ, შევცდი. შენ მხდალი ხარ და შეუბრალებელი, სას-

*) იხ. „ივერია“ № 121.

მარ-იონა, რომელიც ამას წინად შეუერთდა მართლ-მადიდებლობას. ყოვლად-სამღვდელო ტფილისში ორს კვირას დაჰყოფს. ეპისკოპოს იონას უწმიდესის სინოდის განკარგულებით თან ახლავს დეკანოზი სინაცკი და ბერ-მონაზონი თეოფილაქტე. სპარსეთში მისვლისათანავე ყოვლად-სამღვდელო იონა თავის მრევლს აისორ ნესტორიანებს შეუერთებს მართლ მადიდებლობას.

*** გუშინ-წინ ტფილისის გუბერნატორმა მისწერა მოქალაქეთა გამგეობას, რომ დაუყოვნებლივ დანიშნული იქმნას მოქალაქეთა მამასახლისის არჩევანიო.

*** საერო განათლების მინისტრისა და ამიერ-კავკასიის მთავარ-მართებლის ურთ-ერთ შორის მორიგებით, იმათ, ვინც წმ. ნინოს სასწავლებლებს გაათავებს, ისეთივე უფლება ეძლევა, როგორიც დედათა გიმნაზიებში სწავლა დამთავრებულთა აქვთ. ამასთან დადგენილ იქმნა, რომ სასწავლებელში სულ რვა კლასი იყოს, მათ რიცხვში განსაკუთრებული პედაგოგიური კლასიც.

*** გუშინ-წინ ოლქის სასამართლოში მიიყვანეს ეტლით მასწავლებლად ნამყოფი დუმბაძე და გამოუცხადეს სასამართლოს გადაწყვეტილება. მკითხველებს უთუოდ ეხსომებათ, რომ დუმბაძე დამნაშავედ იქმნა ცნობილი, რომ სულით ავადმყოფობის დროს მასწავლებელ ქალის შმაკოვის მოკვლა უნდოდაო და, რომ სასამართლომ გადაწყვიტა დუმბაძე სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში იქმნას მოთავსებულიო. ამ განაჩენის განსაჩივრებას აპირებენ ბრალმდებელი და თვით ბრალდებულიც.

*** ამიერ-კავკასიის რკინის-გზის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე იმის შესახებ, რომ დაკლებულ იქმნას ის ფასი, რაც ეხლა სადგურზედ მიმავალ და იქიდგან ქალაქში მომავალ ეტლებზედ არის დადებული. ბ-ნი გზის უფროსი ამბობს, რომ ეს ნიხრი ამ 15 წლის წინად იქმნა დადგენილი, როდესაც სადგური ქალაქის განაპირას იყო და იმის გარშემო მცხოვრებლები სრულიად არ მოიპოვებოდნენო. ეხლა-კი ქალაქმა სადგურს იქითაც გაიწია, ამიტომ წინანდელი ფასი აღარ გამოდგებაო. ამასთან ბ-ნი ვედენეევი იმასაცა სწერს, რომ რკინის გზით მცხეთაში მისვლა სულ 18 კაპ. ღირს, გორში — 54 კაპ., ბორჯომში — 80 კაპ. და ამავე დროს ქალაქში სადგურამდე მგზავრი 50—65 კაპიკს ეტლის ქირას იხდისო. ბ-ნი ვედენეევი თხოულობს, რომ აქაც ეტლებზედ ის ფასი იქმნას შემოღებული, რაც სხვაგან არის, ე. ი. 30 კაპ., მხოლოდ იმ პირობით, რომ ნივთებში, რომელიც მეეტლის დასაჯდომთან იქმნება დაწყობილი, ზედ მეტი 10 კაპ. გადაიხადონ მგზავრებმაო.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ამას წინად მიცვალებულმა ნ. ე. ზუბალაშვილმა დიდ ძალი ფული შესწირა ქალაქს. გუშინ-წინ, კრებაზედ, ქალაქის გამგეობამ დაადგინა. მიიღოს ქალაქმა ზუბალაშვილის მიერ შეწირული ქონება; ანდერძის თანახმად არჩეულ იქმნას საბჭოს მხრივ ანდერძის აღმასრულებელი; შუამდგომლობა აღძრას იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს დააარსოს განსვენებულის სახელობის „შეუძლებელთა სახლი“, აარჩიოს კომისია, რომელმაც სისრულეში უნდა მოიყვანოს ანდერძი; დასაფლავებას დაესწრნენ საბჭოს ხმოსნები და გამგეობის წევრნი; შეუკვეთოს გვირგვინი განსვენებულის კუბოს შესამკობად, განსვენებულის ქვრივს ე. ე. ზუბალაშვილს ქალაქის თვით-მმართველობის მხრივ სამძიმარი გამოეცხადოს; სთხოვოს ტფილისის გუბერნატორს, ნება დართოს, რომ დასაფლავებას დაესწრნენ ამქრები ბაირაღებით და დააწესოს გადახდილ იქმნას ხოლმე პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად „შეუძლებელთა სახლში“.

*** 8 ივნისს დამთავრდა ტფილისის მე-3 გიმნაზიის მოსწავლეთა გამოცდა. წელს გიმნაზიაში სწავლა დაამთავრა 29 კაცმა. ამათ შორის არც ერთი ქართველი არ არის.

*** მომავალ წლიდგან მუშაობას დაიწყებენ იმ არხის გასაყვანად, რომლითაც მდინარე ვოლგა უნდა შეუერთონ კასპიის ზღვას.

*** გორის სამოქალაქო სასწავლებელში წელს სწავლა დაამთავრა სულ ჩვიდმეტმა მოსწავლემ; ამათში ცამეტი ქართველია; ალ. ციხეთათრიშვილი, დ. ელიაშვილი, დ. თულაშვილი, დ. ცერცვაძე, ვ. ჯაფარიძე, ია. მურვანიშვილი, მ. ავალიშვილი, ა. ლოლაძე, მ. ხუციაშვილი, ს. დაბრუნდაშვილი, მ. მოსიაშვილი, მ. ახალბედაშვილი და ვ იალღუზიძე. დანარჩენთა შორის ერთი რუსია და სამი-სომეხი.

*** ქალაქის საბჭოს კრება დანიშნულია დღეს, 11 ივნისს.

*** გაზ. „Сынъ От.“ სწერს, რომ ბ-ნმა ვართანოვმა პეტერბურგში მოიტანა კავკასიის საარქეოლოგო საგნების მდიდარი კოლლექცია, რომელთა შორის საყურადღებოა ძვირფასი ოქროს სამაჯური, რომელიც, როგორც გარდმოცემა გვაუწყებს, თამარ მეფისა უნდა იყოსო. ვართანოვს განზრახვა აქვს ეს ნივთები გამოჰფინოს და მსურველთ მიჰყიდოს ზოგიერთ ძვირფასის ნივთის მსგავსად გაკეთებული ნივთებიო.

*** ოზურგეთიდგან სწერენ გაზ. „ახ. მიმ.“, რომ 21 ივნისს გამართულ იქმნება ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაო.

*** გაზ. „С.-Пет. Вѣд.“ სიტყვით, ზოგიერთ არქეოლოგებმა ლაპარაკი აღძრეს იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას სწავლულთა ახალი საზოგადოება, რომელსაც აზრად ექმნება აზიის ყოველ მხრივ შესწავლა.

*** გაზ. „კავკასის“ სიტყვით, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა ნება დართო, რომ მსურველთ წაიღონ საქარის სანერგედგან ამერიკული ვაზი სურამის საბოქაულოში გასაშენებლად.

*** ქუთაისი. წელს ქუთაისის ვაჟების გიმნაზიაში სწავლა დაამთავრა და მოწმობა მიიღო 28 ახალგაზდა კაცმა. მათ შორის 12 ქართველია, 13 რუსი, 1 პოლონელი, 1 სომეხი და 1 ნემეცი. აი ქართველების ვინაობა: გიორგი ბახტაძე, გიორგი გეგელაშვილი, ვარლამ გელოვანი, ანდრია დგებუაძე, არჩილ ჯაფარიძე, დ ვით ჯორჯიკია, მიხეილ ქორქაშვილი, ბესარიონ ლომინაძე, ანდრია ლორთქიფანიძე, თადეოზ მატიუხოვი (რუს-ქართველია), ნიკოლოოზ მაჭავარიანი, კონსტანტინე ჩარკვიანი; ამათგან გ. გეგელაშვილმა და ჩარკვიანმა ოქროს მედალი მიიღეს. ყველა სწავლა დამთავრებულნი მიდიან უმაღლესს სასწავლებელში.

ქალების გიმნაზიაში მეცხრე კლასი გაათავა წელს 14 ქალმა, რომელთ შორის 9 ქართველია, 4 რუსი, 1 ნემეცი. ქართველ ქალთა გვარები: როზალია გოკიელოვის ასული, დარია კეჟერაძის ასული, მარიამ ქორქაშვილის ასული, სოფიო ქარციკაძის ასული, ნადეჟდა მიქელაძის ასული, ელენე მეფისაშვილის ასული, ელენე ოქრომჭედლიშვილის ასული, ალექსანდრა თოფურიძის ასული და ნინო ჩხეიძის ასული; რამდენიმე ამათგანს უკვე მისცეს მასწავლებლის ადგილი; ხოლო ოთხნი აპირებენ უმაღლესს კურსებზე სწავლის განგრძობას.

*** პეტერბურგი. ამ დღეებში საერო განათლების სამინისტრომ მოილაპარაკა კავკასიის მთავარ-სამმართველოს მიერ აღძრულ შუამდგომლობის შესახებ, რომ სოხუმის სამთო სასწავლებელი გადაკეთებულ იქმნას საშუალო სასწავლებლად და მასთან დაარსებულ იქმნას სახელოსნო კლასსებიო. სამინისტრომ შეიწყნარა შუამდგომლობა და გამოარკვია ის, რა თანხაცაა საჭირო სასწავლებლის გარდაკეთება-წარმოებისათვის. ვიდრე ამ განაჩენს სახელმწიფო საბჭოს წარუდგენდეს განსახილველად, სამინისტროს განზრახვა აქვს კავკასიის მთავარ სამმართველოს გამოუგზავნოს, რათა მან შეავსოს იგი თავისის აზრით სამინისტროს მიერ ამ საქმისათვის აღრიცხულ თანხის შესახებ. („ახ. მიმ.“)

*** ქ. გორი. წელს გორის საოსტატო სემინარიაში სწავლა დაამთავრა თექვსმეტმა ყმაწვილმა კაცმა, რომელთა შორის მხოლოდ სამია ქართველი: მ. ჩიგოგიძე, ი. გვინცაძე და მ. შატბერაშვილი. დანარჩენი: ოთხი რუსია სამი სომეხი, ხუთი თათარი და ერთიც-აფხაზი.

*** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, რომ ქალაქის ვექილის თანაშემწედ დანიშნულ იქმნას საბჭოს საქმის მწარმოებელი ბ-ნი ქანანოვი.

*** იმავე გამგეობის დადგენილებით, ქალაქის მიწის-მზომლის თანაშემწედ დანიშნულ იქმნა ბ-ნი ნაცვლიშვილი.

*** ამ დღეებში კავკასიაში ჩამოვა ცნობილი ამერიკელი მილიონების პატრონი ქალი მისტრის ლესლი. მისტრის ლესლი კარგად განათლებული ქალია და ამერიკაში დიდი სახელი აქვს გავარდნილი. ქ-ნი ლესლი ნიუ-იორკში ორს ძალიან გავრცელებულ გაზეთსა ჰბეჭდავს: „Illustrated newspaper“ და „Harper's Weekly“-ს. ამბობენ, რომ ლესლის დიდი გავლენა ჰქონდა ბრაზილიის იმპერატორ დონ-პედროზედაო. ამ იმპერატორის გადაყენების შემდეგ ლესლი ნიუ-იორკში გადასახლდა და ლიტერატურაში დაიწყო შრომა. პეტერბურგში ქ-ნი ლესლი შვეციიდგან მოვიდა ამერიკელ გამოჩენილ მწერალ-ქალთან ვილლა ვიკოკსთან ერთად. იქიდგან ლესლი ათის ამერიკელითურთ კავკასიაში მოვა და შემდეგ აზიაში წავა. ლესლისთან ჰმოგზაურობენ: 3 მეგაზეთე, 1 მკურნალი ქალი, 4 ანტროპოლოგი ქალი და 2 ბატანიკოსი.

*** გორი. ამ ჟამად აქ ყივანა-ხველა გაჩნდა და ბევრი ბავშვი გახდა ავად ამ სენით.

## წერილი თელავიდგან

8 ივნისი.

მაისმა თითქმის ყოველ დღე წვიმა-ავდრით ჩაიარა, მაგრამ არც ივნისმა გვაღირსა კარგი დარები. პირველ რიცხვებში სეტყვაც ჩამოჰყარა და სოფ. შალაურის ზემო ნაწილი გააფუჭა. კიდევ კარგი, რომ სხვაგან

---

ტიკი ჯალითი, რომელიც უფროსის ბრძანებით მხოლოდ არჩობს ხალხს! მრცხვენიან, რომ შევეხვეწე წელან მხდალს კაცს და არას დროს არ ვაპატივებ ჩემს თავს ამ მოუფიქრებლობას!..

აბდულის სიტყვებმა დიდად იმოქმედა დავითზედ.

— რა მაგარი გული აქვს ამ ჭაბუკს, ჰფიქრობდა დავითი, რა გულოვანია და გაუტეხარი. მართლაც-და, ხომ ყველას შეუძლიან ერთ საცოდავ, უიარაღო, ხელებ-შეკრულ ტუსაღს, რომელიც რამდენისამე წუთის შემდეგ უნდა მოკვდეს, დასცინოს, შეურაცხება მიაყენოს. დაცინვა და შეურაცხება ასეთ მდგომარეობაში მყოფ კაცისა მართლაც დიდი ცოდვა და უპატიოსნებაა. დამნაშავე ვარ ამასთან, ღმერთთან და სინიდისთანაც და ამისათვის რაც შემიძლიან უნდა ვუშველო. მთხოვს გაუხსნა ხელები? — გავუხსნი. ამ კეთილის განძრახვით დავითი მივიდა ტუსაღთან.

— გსურს გაგიხსნა ხელები?

— ჰო, მსურს.

— მაშ კარგი, გაგიხსნი. გაჩვენებ, რომ მე ისეთი შეუბრალებელი არა ვარ, როგორიცა გგონივარ. აბა მობრუნდი. ჰო, მაგრად მოუჭერიათ. ამ სიტყვებით დავითმა ამოიღო ხანჯლის დანა და კვანძი გადასჭრა.

— აჰა, გაგიხსენი ხელები, ეხლა?

— დამაცა, დავით.

მილიციონერები თვალს არ აშორებდნენ აბდულს. ერთი მათგანი უკან ედგა ამოღებულის ხანჯლით.

— მადლობელი ვარ, დავით, სიკეთისათვის! ღმერთი გადაგიხდის ჩემს მაგივრად. ეხლა-კი შემიძლიან გავიხსნა საყელო.

— რათა, სისხლი ხომ არ აგივარდა თავში? წყალი ხომ არ გინდა?

— არა, აი რადა.

ამ სიტყვებით აბდულმა გამოიღო უბიდგან რაღაცა და ნახევრად გაშლილს ხელში უჩვენა დავითს ნივთი.

მოხუცი დავითი დააკვირდა ნივთს და ზარ-დაცემული გადადგა უკან, მივარდა ისევ, მოსჭიდა ხელი აბდულის ხელს და ხან ხელში უყურებდა განცვიფრებული და ხან აბდულს შეჰყურებდა.

— რა არის... ამას რას ვხედავ!.. მძივი... მძივი! ღმერთი ჩემო, სიზმარში ვარ, თუ... ჭკუა მერევა, წამოიძახა დავითმა, მივარდა აბდულს და მხურვალედ ჩაიკრა გულში.

აბდული ბავშსავით ქვითინებდა.

— ვხედავ, ვხედავ, იძახოდა დავითი, რა ვქნა, როგორ მოვიქცე, ღმერთო! ნუ თუ მომასწარ ამ ბედნიერებას, რომ რამდენისამე წუთის შემდეგ ჯოჯოხეთად გარდამიქციო!..

გატყდა მოხუცის გმირის გული, რომელშიაც ორი გრძნობა სდუღდა: განუსაზღვრელი სიხარული და ღრმა მწუხარება.

დიაღ, ჰგრძნობდა დავითი, რომ ვერ შეეძლო გამოხსნა ტუსაღისა, რომლის ბედი უკვე გარდაწყვეტილი იყო. კარგად ჰგრძნობდა, ხომ იმის წინ იდგა არა დამნაშავე, არამედ უდანაშაულო კაცი — მსხვერპლი ხალხის ჯავრისა. მაგრამ როგორ უშველოს საქმეს, რა დასამტკიცებელი საბუთები წარუდგინოს უფროსს აბდულის გასამართლებლად? დროს დაკარგვა არ შეიძლებოდა.

— ხელი არ ახლოთ ამ ტუსაღს ჩემს დაბრუნებამდის, უთხრა დავითმა მილიციონერებს, და საჩქაროდ გასწია უფროსისაკენ.

მილიციონერები გარს შემოერტყნენ აბდულს, გაკვირვებით დაუწყეს ცქერა და ვერ აეხსნათ საქციელი ტუსაღის წინაშე თავიანთის წინამძღოლისა.

— სად არის თქვენი უფროსი? დაიყვირა შტაბის ადიუტანტმა, რომელმაც ერთის ყაზახით მოაგდო ცხენი მილიციონერების ბანაკში.

— სადღაც წავიდა და ჩქარა დაბრუნდება, უპასუხა ერთმა მილიციონერთაგანმა.

— ტუსაღი ჩამოარჩეთ?

— არა, აი ტუსაღი, სარჩობელა უნდა გავაკეთოთ.

— ჰმ, კარგი, მონახე თქვენი უფროსი, მოვუცდი, დააყარა ზედიზედ ადიუტანტმა. ჩამოხტა ცხენიდგან და ცეცხლს მიუჯდა.

ამ დროს დავითმა სირბილით მიაღწია გენერალ შვარცის კარავამდის. დაქანცული, აღელვებული იგი წარუდგა გენერალს, რომელიც კარავის წინ იდგა.

— შეიწყნარე, გენერალო, შეეხვეწა დავითი, აპატივე, დამნაშავე არ არის, ღმერთია მოწამე!.. აბდული ერთგულია თქვენი, რუსეთისათვის თავ-გადადებულია. ჩამომარჩეთ ეხლავე, თუ აბდული მოღალატე იყოს თქვენი, მაწამეთ, დამკუწეთ, დამგლიჯეთ მოხუცი ასო ასოდ, დამწვით ნელს ცეცხლზედ, თუ აბდული მოღალატე იყოს!..

შვარცმა დავითი ტკბილის სიტყვებით შეაყენა.

— დაწყნარდი, ნუ ჰშფოთავ, დავით, ვიცი, რომ აბდული არ არის მოღალატე. ავჩქარდი. მოლლა ახმედმა გამიმჟღავნა ყველაფერი. ხერგი და ქვა ათ საჟენის მანძილზედ მოშორებით ჰქონდათ მომზადებული მტერს. მჯერა აბდულასი, რომლისთვისაც ასე თავს იკლავ. მოხარული ვარ, რომ ვერ მოასწარი განკარგულების აღსრულებაში მოყვანა. აბდულს უთხარი, რომ ამის შემდეგ წინანდელზედ უფრო ვერწმუნები. დაწყნარდი, მამაცო მოხუცო, წადი და მოისვენე. აბდულს უთხარი, ჩემთან მოვიდეს. განუშორებლივ ჩემთან იქნება მთელის ლაშქრობის განმავლობაში და უხვადაც დავაჯილდოებ.

მოხუცს სიხარულისაგან ცრემლები მოერია თვალებში, მადლობა უთხრა გენერალს და გაჰკურცხლა თავისის ბანაკისაკენ, სადაც დახვდა ადიუტანტი, რომელსაც უკვე გაემჟღავნა მილიციონერებისათვის აბდულის განთავისუფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა უწნია რა. გუშინ, 7 ივნისსაც, გადაუღებლივ სწვიმდა, ერთ ხანს სეტყვაც წამოუშინა, ასტყდა ხშირი ელვა-ჭექა, რომელმაც უმნიშვნელოდ არ ჩაიარა და სამი სული იმსხვერპლა მეხმა. სოფ. კურდღელაურიდგან სოფ. იყალთოში მიმავალი ორი დედაკაცი პატარა ქალით მდ. თურდოს თურმე მიადგნენ და რადგან წყალი ბლომად იყო, ამიტომ ფეხთ უნდა გაეხადნათ და ისე გასულიყვნენ მეორე ნაპირას, ამ დროს უცბად გაიელვა, დაიქუხა და საბრალო სამი სული იქვე უგრძნობლად დაეცნენ!..

თქვენი მტერი, თუ ასე გასტანა ტაროსმა: ხალხს ეშინიან, ძრწის და სასოებით ღრუბლებს შეჰყურებს, რომ იქნება როგორმე ღმერთმა ააცდინოს სეტყვა წლევანდელს კარგს მოსავალსაო.

ავაზაკების მხრივ აქეთ ჯერ არაფერი ისმის იმის შემდეგ, რაც 22 მაისს სოფ. ახატელში მოჰკლეს ერთი მდიდარი კაცი, გასძარცვეს და გომბორის ტყეებში მიიფარნენ და იქ 12 ცხენი წაართვეს ავაზაკებს მამასახლისის ზაურბეგას მეცადინეობით. ის იყო და ის, იმის შემდეგ არა ისმის-რა, თუმცა ბ-ნმა მაზრის უფროსმა დეპეშით ითხოვა გუბერნატორისაგან 60 შეიარაღებული ყაზახი ფოსტის გზის სადარაჯოდ.

ტ. ინასარიძე

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. მოხისი.** კვირას, 7 ივნისს, აკურთხეს მოხისის პირველ დაწყებით სამრევლო სკოლის ახალი შენობა. კურთხევას დაესწრნენ ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი, არქიმანდრიტი სერაფიმე, იმავე სემინარიის მეთვალყურე ნ. მამინეიშვილი, ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურე ნიკოლოოზ ტატიშვილი და მახლობელ სოფლების სამღვდელოება. მოხისში სკოლა კარგა ხანია იყო დაარსებული, მაგრამ თუ სკოლას გულშემატკივარი არა ჰყავს, ვერ იხეირებს. სკოლის წინააღმდეგ წავიდა სწორედ ის, ვისი მოვალეობაც იყო იმისათვის ეზრუნა. მთავრობა ყველას ვალდებულად ჰხდის სკოლა იქონიონ და ვინც ურჩობას გასწევს, შესაფერ ჯილდოს მიიღებს. სირცხვილიც არის ღმერთმანი, მღვდელმა ათი, ან მეტი წელიწადი დაჰყოს მრევლში და ვერ მოახერხოს წერა წითხვის სკოლის დაარსება მაინც. რამდენია იმისთანა მრევლი, სადაც სწავლის სურვილიც არის ხალხში, შეძლებაც არის; მაგრამ მოძღვრის უთაურობით სკოლა არ არსებობს. მღვდლებმა საბოლოოდ უნდა შეიგნონ, რომ ახლა სხვა სიომ დაჰბერა და თუ ვერ შეიგნებენ მთავრობის სურვილს და დავალებას, წარმატებაში ვერ წავლენ და ბევრი ღობეს გარეთაც დარჩება. ყველას მოეხსენება, რომ მთავრობას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული საეკლესიო სკოლების დაარსებაზედ და პირველი მოთავე ამ საქმეში უნდა იყოს მღვდელი, რომელსაც ამისათვის ბევრი დროც აქვს და გარემოებაც ხელს უწყობს. განსაკუთრებით სირცხვილია ამ საქმის მხრივ ჩამორჩენა ახალგაზდა სემინარიელ მღვდელთათვის. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ თუ მღვდლებმა საფუძვლიანად მოჰკიდეს ხელი სწავლის გავრცელებას ხალხში, საქმე რიგიანად მოეწყობა სოფელში ყოველ მხრივ. დავუბრუნდეთ ისევ მოხისის სკოლას.

ახალის მღვდლის მ. ბენიამინ კონტრიძის დანიშვნის შემდეგ, რომელიც სულითა და გულით ერთგულია თვისის მოვალეობისა, მოხისის სკოლის საქმე ჩინებულად წავიდა. იმისდა მიუხედავად, რომ მოხისელები მოუხეშავი ხალხია და სკოლას ეჭვის თვალით უყურებენ, მ. კონტრიძემ მოახერხა მშვენიერის სკოლის გაკეთება მოხისში და როდესაც ხალხმა დაინახა, რომ მათი მოძღვარი უანგაროდ შრომობდა სკოლისათვის, სულ სხვანაირად იცვალა გული სკოლაზე, რაიცა ცხადად სჩანდა 7 ივნისს, სკოლის კურთხევის დღეს. დღეს მოხისის სკოლაში სწავლობს 37 ყმაწვილი, რომელთაც ასიამოვნეს თავისის ცოდნით, გალობა-სიმღერების თქმით და ზრდილობით დამსწრე საზოგადოება. მ. რექტორს, რომელმაც შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა, და ეპარქიის მეთვალყურეს ტატიშვილს ძალიან მოეწონათ სკოლა და ისურვეს, რომ ამისთანა სკოლა ბევრ სხვა სოფლებსაც ჰღირსებოდესო.

სადილს შემდეგ, რომლის დროსაც შესაფერი სადღეგრძელოები წარმოითქვა, ყველანი ნასიამოვნები დაიშალნენ.

ქ—ე.

## რუსეთი

განზრახვა აქვთ პეტერბურგის გუბერნიაში პირველი დედათა საბაღოსნო სასწავლებელი დააარსონ და მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დაუქვემდებარონ.

— წელს პეტერბურგის სამთო ინჟენერთა ინსტიტუტში სწავლა დაამთავრა 51 კაცმა, 10 პირველის ხარისხით და დანარჩენთ მეორე ხარისხით.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ქვემდებარე ყველა სასოფლო სამეურნეო სასწავლებელმა მონაწილეობა უნდა მიიღოს თურმე პარიჟის მომავალ საერთაშორისო გამოფენაში.

— 29 მაისს დამთავრდა ნოვოროსსიის უნივერსიტეტის მოსწავლეთა გამოცდა იურიდიულ კომისიის მიერ. წელს ამ ფაკულტეტზედ სწავლა დაამთავრა 85 კაცმა. ხარკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ საგნების ეგზამენს იჭერდა 90, რომელთაგან 3 ვერ გარდიხადა ეგზამენი და 5 ვერ დაამთავრა ეგზამენის გარდახდა. დანარჩენთაგან პირველის ხარისხის მოწმობა მიიღო 34 კაცმა და მეორე ხარისხისა 48. კიევის უნივერსიტეტში სახელმწიფო კომისიის მიერ გამოცდილ იქმნა იურიდიულ ფაკულტეტის 239 მოსწავლე, რომელთაგან პირველის ხარისხის მოწმობა მიიღო 34 კაცმა, მეორე ხარისხისა —184, 6—არ გარდიხადა, 12—ვერ დაამთავრა და 3 ვერ გარდიხადა სახელმწიფო ეგზამენი.

## უცხოეთი

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** გაზეთებმა დაწვრილებითი ამბავი მოიტანეს იმ შეტაკების შესახებ, რომელიც ამერიკის და ესპანიის ჯარის შორის სანტ-იაგოს მახლობლად გუანტანამოში მოხდა. როგორც უკვე წინადაცა ვწერდით, ამ ადგილას ამერიკელებმა თავიანთი ჯარი გადასხეს გემებიდგან. ნაპირზედ მეოფი ესპანიის ჯარი დიდხანს ვერ გაუმაგრდა ამერიკის ყუმბარებს და უკუ იქცა. ამერიკელები თავისუფლად გადავიდნენ და ერთს ადგილას დაბანაკდნენ. ეს ამბავი პარასკევს მომხდარა. მეორე დღეს, შაბათს, საშინელი ბრძოლა გაიმართა თურმე ამერიკელების ბანაკის მახლობლად. ამ დღეს ამერიკელები სრულიად დამშვიდებული ყოფილან, ჰგონებიათ, ესპანელნი ვეღარ გაჰბედავენ ჩვენთან ბრძოლასაო, ბანაკისათვის თავი მიუნებებიათ და იქვე წყალში ბანაობა დაუწყვიათ. ესპანელნი-კი ამ დროს მახლობელ ბუჩქებში ყოფილან დამალულნი. არ გასულა ბევრი ხანი, რომ ესპანელებს საშინელი ტყვია დაუშენიათ ბანაკისათვის. შეშინებული ამერიკელები წყალიდგან ამოვარდნილან და ტიტველები იარაღისათვის გაქცეულან, შემდეგ გამწკრივებულან და მათაც თოფების სროლა დაუწყიათ. ბრძოლა კარგა ხანს გაგრძელებულა, ბოლოს ესპანელთ სროლა შეუწყვეტიათ და უკან წასულან. შუაღამისას ბრძოლა განახლებულა. ესპანელნი სამხრეთ-დასავლეთიდგან მოჰქცევიან ბანაკს და იქიდგან დაუწყიათ სროლა. ამ შეტაკების დროს ესპანელნი ისე ახლო მისულან ბანაკთან, რომ მოწინააღმდეგეთა შორის სახელ-და-ხელო ბრძოლა გამართულა. ბრძოლამ გათენებამდის გასტანა თურმე. ღამე ამერიკელები ვერ არჩევდნენ ესპანელებს, არ იცნობდნენ ადგილ მდებარეობას და ამიტომ ზარბაზნები ვერ მოუხმარიათ. გათენებისას-კი ყუმბარები დაუშენიათ და უკუ უქცევიათ ესპანელნი. ასე გათავებულა ეს შეტაკება. გაზეთების სიტყვით, როგორც ამერიკელები, ისე ესპანელნი მედგრად იბრძოდნენ თურმე.

— ნიუ-იორკიდგან დეპეშით იუწყებიან: „ადმირალი სამპსონი ძალიან უკმაყოფილოა, რომ ჯარს დროით არ ჰგზავნიან კუბაში. ადმირალმა წერილი გაუგზავნა მაკ-კინლეის და შეუთვალა, რომ თუ შემდეგშიაც ასე დააგვიანებთ ჯარის გამოგზავნას, სამსახურს თავს გავანებებ და მანდ ამერიკაში მოვალო. ჩვენ აქ უსარგებლოდ ტყვიასა და წამალსა ვხარჯავთ და ჯარი-კი დღესაც ტამპშია. თავის დროზედ რომ გამოგეგზავნათ ჯარი, აქამდის სანტ-იაგოს ათჯერ ავიღებდიო“.

—

**კრიტი.** თითქმის ნახევარ წელიწადზედ მეტი გავიდა ოსმალეთ-საბერძნეთის ომის მოსპობის შემდეგ, მაგრამ კრიტის საქმეს ჯერაც არაფერი ეშველა. გაზეთები წინად გაიძახოდნენ, ოსმალეთ-საბერძნეთის ომმა შეაფერხა კრიტის საქმეო. რა წამსაც ამ ომს ბოლო მოეღება, იმ წამს სახელმწიფოები კრიტის საქმის მოწყობას შეუდგებიანო. მაგრამ ომი კარგა ხანია გათავდა, ოსმალეთმა თავისი ჯარი თესალიიდგან კიდეც გაიყვანა და კრიტს-კი ჯერაც ბედნიერება არ ეღირსა: სახელმწიფოთ მრავალი კანდიდატი დაასახელეს კრიტის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზედ, მაგრამ არც ერთი არ იქმნა დანიშნული. ბოლომდე, როგორც მკითხველებსაც ეხსომებათ, ლაპარაკი საბერძნეთის მეფის შვილზედ იყო. დღემდისაც უმთავრეს კანდიდატად მეფის შვილს გიორგის ასახელებენ. მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს ხმა გავრცელდა, რომ აზრადა აქვთ კრიტის გენერალ-გუბერნატორად დანიის სამეფო გვარეულობის ერთ-ერთი პრინცი დანიშნონო. რამდენად მართალია ეს ამბავი, მხოლოდ ღმერთმა უწყის!

## დამაკვირდი

ზენათა მოძრაობისა აღურაცხელი ზმნობა, და ცთომილთა კარსკვლავთა და უცთომელთა კრებაა—განგებაა, სვე და ბედი და შობის დღე, ვითარცა საღმრთოთა უსმენელმან, ვიჩქურენ (=გაოცნებე).

წმ. დავით აღმაშენებელი

* * *

— ვიცი, ვიცი, ამბობდა დავითი, ჩვენი გენერალი მართალი კაცია. მართალია, აჩქარდა ცოტა, მაგრამ მაინც თითონ გაარჩია საქმე. შენ თავისუფალი ხარ, აბდულ, ღამე აქ გაათიე და ხვალ დილით-კი მიდი გენერალთან. შეუდექი, ჩემო აბდულ, შენს საქმეს ისევე ერთგულად, როგორც წინად აკეთებდი...

— ვისი მადლიერი უნდა ვიყო დავით, განთავისუფლებისათვის, ჰკითხა აბდულმა.

— შენის სიმართლისა და მოლლა ახმედისა. ეჰ, რა დროს მაგის ლაპარაკია, აბდულ, ვიცი, რომ თავისუფალი ხარ. აბა, მიუბრუნდა, მილიციონერებს, ბლომად შეშა დააყარეთ და ერთი ის ტიკიც ამოგვიღეთ ხურჯინიდგან. მინდა ცოტა მოვზიდო ჩემი მოხუცებული ძვლები და წარსული სიჭაბუკე მოვიგონო... ამ დროს მოვიდნენ კიდეც ის თხუთმეტი კაცი, რომელნიც ხის საპოვნელად იყვნენ გაგზავნილნი.

— ვერ ვიპოვნეთ ხე, დავით, ბევრი ვეძებეთ, თუ ხევში...

— დამეკარგენით აქედგან თქვენცა და თქვენი ხეც, გააწყვეტინა დავითმა. ხმა, კრინტი. აღარ მომაგონოთ. მიდი, აბდულ, ახლო მომიჯექი ბევრი სალაპარაკო გვაქვს.

VI

გაჩაღდა ცეცხლი და გაანათა მხიარული სახეები მილიციის ჯარისკაცებისა. დადინჯდა გული, წყურვილი სისხლის ღვრისა განიდევნა გულიდგან. პატარა არყით სავსე ყანწი გადადიოდა ხელიდგან ხელში. აჰა, წითლად განათდა აღმოსავლეთი. ღრუბლებიც გაიფანტ-გამოიფანტა ცის სივრცეში. თოვლით მოსილი დაღესტნის მთის წვერები ამაყად და დიდებულად გამოიყურებოდნენ და ელოდნენ პირველ მზის სხივს. გავარდა ზარბაზანი და მისმა ხმამ გრგვინვით გაიარა მთა კლდეები. ზარბაზანს მოჰყვა საყვირები, დაფდაფები, გაჩნდა პირველი მზის სხივები თუ არა, „მარშ-“მაც დაიგრიალა...

შეირყა მთელი რუსის ბანაკი. ზოგნი კარავებს ჰხსნიან, ზოგნი ცხენებზედ ბარგსა ჰკიდებენ. ჯარი მოემზადა. მილიციის ჯარის-კაცნიც, თუმცა მთელი ღამე თვალები არ დაუხუჭიათ, მოემზადნენ სამგზავროდ.

— მაშ ეგრე, აბდულ, მიუბრუნდა დავითი, მაძლევ სიტყვას, რომ ამ შემოდგომას დაბრუნდები შინ.

— გეფიცები, რომ დავბრუნდები.

— გახსოვდეს შენი სიტყვა. დროა, დრო! წადი გენერალთან, ხომ იცი, რომ შენ მისი თვალ-ყური ხარ.

— უნდა გავეჩქარო, წავალ გენერალთან და მაშინვე ვეცდები გავასწრო ჯარს, რომ მტრის ორი-სამი სოფელი მოვიარო, შევიტყო, რას ჰფიქრობენ, ჯარის სიმრავლე რამდენი ჰყავთ და როგორ აპირებენ ჩვენს დახვედრას. ღამე ვეცდები დავბრუნდე და, რასაკვირველია, მოვალ შენთან.

— ცხენი გყავს?

— ორიცა მყავს, მაგრამ უფრო ფეხით დავდივარ. მთაში ქვეითად სჯობია სიარული, უფრო მოხერხებულია და გაჭირვების დროს უფრო შეიძლებს კაცი გაქცევას და დამალვას.

— არა სჯობია ეხლავე თავი დაანებო ამ ხელობას აბდულ?

— არა, ეს ოთხი თვეც და მაშინ-კი მორჩება ჩემი წანწალი. ეხლა-კი მშვიდობით!

— მშვიდობით, მშვიდობით, მხოლოდ ფრთხილად-კი იყავ.

ნახევარის საათის შემდეგ ჯარი დაიძრა. დიაღ, მიდიოდა ამოდენა ხალხი სულ წინ და წინ, რომ ისევ შეხვედროდა მტერს, ისევ დაეღვარა კაცის სისხლი და გზა და გზა თავისი მკვდრები ემარხა!.. რისთვის, მკითხველო?.. ჰკითხე კაცის გაუმაძღარს გულს!..

ერთის მთის წვერის ახლო გამოჩნდა პატარა კაცის ნაკვთი, რომელიც გაჩქარებით, ხტომით მიდიოდა ბილიკზედ. ავიდა წვერზედ თუ არა, ამომავალ მზის სხივმა წითლად გაანათა იგი. ეს კაცი იყო აბდულ-მაჰმა. ჯარის-კაცნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ის წითელი, კაცის მგზავსი ნაკვთი, რომელიც მთის წვერზედ გამოჩნდა, მოვლენა იყო, რომელიც სისხლის ღვრას იმ ქვეყანას უქადიდა, რომლისაკენაც მიდიოდა.

შემდეგმა დღეებმა, კვირეებმა, მთელმა ოთხმა თვემ გაამართლა ჯარისკაცთა სიტყვები. ცეცხლი და შეუბრალებელი ხალხის ჟლეტა და ბუგვა არ შეწყვეტილა ერთს წამსაც... ამ ჟლეტა-ბუგვაში დიდი ამაგი უძლოდა აბდულ-მაჰმას, რომლის საკვირველს მოსაზრებასა და გულადობას აღტაცებაში მოჰყავდა თვით გენერალი შვარცი.

ენკენის თვეში თოვლმა იწყო დენა მთაში. ჯარი დაბრუნდა უკან მშვენიერს კახეთში და დაიშალა. ამით გათავდა იმ ზაფხულის ლაშქრობა და მასთან გათავდა აგრეთვე აბდულ-მაჰმის თავ გადასავალიც. აბდული დაბრუნდა შინ, თავის მამის ჰერ-ქვეშ. მოხუცი დავითი თავისს თავს უბედნიერესს კაცადა სთვლიდა, როდესაც დაინახა თავისს სახლში განთქმული საყვარელი შვილი. ხევსურები შეიკრიფნენ დავითის სახლში, გაჰმართეს ლხინი, ტაშ-ფანტური და აღტაცებით ულოცავდნენ მამას:

— დავით, ყარამ შეისყიდა თავისი ცოდვაო...

ყარა ხალხის გმირად გარდაიქცა ხევსურეთში. გარდმოცემებში მისი საკვირველი ამბავი მთელს ხევსურეთს მოედო. ყოველი ხევსური სცდილობდა ერთხელ მაინც შეხედნა იმ გმირ, ლამაზ ქალისათვის, რომელმაც ათი წელიწადი დაჰყო მტრის ქვეყანაში ისე, რომ ფიქრადაც არავის მოსვლია მისი ქალობა!..

ივ. ბ—ლი

დ'ღაცათუ მოკვდენ, გარნა ცოცხალი არიან და ცხოველნი ცხოველისაგან მლიერ არიან.

ვახტანგ გორგასალ.

* * *

ვინ სთესა,—მოიმკოს და ვინ განაბნია გლახაკთათვის,—შეიკრიბოს.

წმ. შუშანიკი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთს ჟურნალში დაბეჭდილ ცნობებიდგანა სჩანს, რომ იტალიაში ძლიერ გამოსადეგი ყოფილა ისეთი ხელობა, რომლისთვისაც სხვა ქვეყანაში არც-კი აზოგინებდნენ კაცს. 1892 წელს გარდაიცვალა იტალიაში ცნობილი ბელადი ყაჩაღებისა კაპუჩო, რომელიც მდიდრულადა სცხოვრობდა ნეაპოლში, დადიოდა მშვენიერის ეტლით, ოქრომკედით ნაკერ ტანთ-საცმელში გამოწყობილი. კაპუჩოსი ყველას ეშინოდა, ყველა პატივსა სცემდა. ამ დროს კაპუჩო უფროსი იყო ეგრედ წოდებულ „კამორასი“, კამორა წარმოადგენს იმ კაცთა კრებას, რომელთაც შრომა სძულთ და ფული-კი და კარგი ცხოვრება უყვართ, ე. ი, კამორას წევრნი ბრძანდებიან ქურდები და ავაზაკები. ხოლო სხვა წვრილ-ფეხა ქურდებისაგან კამორისტები იმით განირჩევიან, რომ წვრილ ქურდობას აშკარად წართმევას ამჯობინებენ. ქურდობას მხოლოდ ახალი, ხამი კამორისტი იკადრებს. უმთავრესნი წევრნი გამოდიან ნეაპოლის ბაზარში, ერევიან ყველა საქმეში და გარდასახადს ადებენ ვაჭარსაცა და მყიდველსაც. თუ ვინმემ უარი სთქვა ამ გარდასახადის გაღებაზე, კამორისტები ჩაიწერენ იმის გვარს საგანგებოდ ამისათვის დაარსებულს დავთარში და ვაი იმის ბრალი: დღეს თუ ხვალ სიცოცხლეს გამოასალმებენ. მარტო ვაჭრებს არ ადებენ გარდასახადს კამორისტები და ყველამ კარგად იცის, რომ ურჩობას ვერავინ გაუწევს კამორას. თვით მთავრობას ვერაფერი გაუწყვია ამ ავაზაკებთან.

ადვილად წარმოსადგენია ამიტომ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კამორას უფროსს—კაპუჩოს. ქალაქის მმართველობა ვიდრე რამ ახალს საქმეს გადასწყვეტდა, კაპუჩოს უნდა დაჰკითხებოდა. თუ ნეაპოლი ცოტათი დასუფთავდებაო, სწერდა ერთხელ ქალაქის მმართველობის მოხელე, ეს მარტო იმ შემთხვევაში მოხდება, თუ კამორამ ამაში თვისი რამ სარგებლობა დაინახა. მე ვუბძანე ჩემის უბნის 1,157 სახლის პატრონს შეეღებათ თეთრად სახლის კედლები და ფიცრულები, მაგრამ იმ დრომდე არ იქმნა ასრულებული ეს ჩემი ბრძანება, ვიდრე ჩემი ხელ-ქვეითი მოხელე არ მოელაპარაკა ამ საქმის შესახებ კამორას. კაპუჩოს ნეაპოლში „მეფეს“ ეძახდნენ და მართლაც რომ მეფეს არ ჩამოუვარდებოდა. როცა ეს „მეფე“ ლაპარაკს დაიწყებდა, ყველანი ხმა გაკმენდილნი უსმენდნენ. ერთხელ კამორისტებს უნდოდათ კაპუჩოს გადაყენება და ცილი დასწამეს—პოლიციას მიემხროო. კაპუჩომ მოიწვია ღამე თორმეტი თავზე ხელ აღებული კამორისტი. ყველანი შეიარაღებულნი მოვიდნენ, გარდა თვით კაპუჩოსი „მეფე“ მიუახლოვდა ერთს მათგანს, რომელიც მოთავე იყო შეთქმულობისა და მრისხანედ ჰკითხა: „მაშ, შენ გგონია, რომ მე პოლიციის აგენტი ვარ?“ „არაო“—ცახცახით უპასუხა მან. მერე დანარჩენებს შეეკითხა და ყველამ შიშით უპასუხეს „არაო“. კაპუჩომ ყველანი დალანძღა და დაითხოვა.

საკვირველი ის არის, რომ კაპუჩო მუდამ პატრონობას უწევდა ყველა ღარიბსა და გაჭირვებულს. საკმარისი იყო, რომ ღარიბსა და უმწითვო ქალს მიემართნა კაპუჩოსთვის. იმ წამსვე გარდასახადს დააწერდა იმ ტურფა ქალებს, რომლებიც სხვის ფულითა სცხოვრობენ და ამ გვარად შეგროვილს ფულს გაუგზავნიდა მთხოვნელს.

ერთხელ ერთს ღარიბს მასწავლებელს მუსიკისას შინ არ ყოფნის დროს პიანინო მოჰპარეს. პოლიციამ ეძება ქურდები და დაკარგული, მაგრამ ვერაფერს გახდა. მასწავლებელმა კაპუჩოს მიჰმართა და იმავე დღეს პიანინო მასწავლებლის სახლში გაჩნდა. მადლიერმა მასწავლებელმა ოქროს საათი მიუტანა საჩუქრად კაპუჩოს, მაგრამ იმან არ მიიღო საჩუქარი და კინაღამ სახლიდგან გამოაგდო.

კაპუჩო ხშირად დადიოდა ხოლმე სხვა-და-სხვა საქმის გამო პოლიციის უფროსთან, რომელიც ისე დაუხვდებოდა ხოლმე, როგორც მეფეს შეეფერება. ერთხელ მეფემ შესჩივლა პოლიციის უფროსს, ერთს ვექილს შენიშვნა მივეცი და დამბაჩა მესროლაო. პოლიციის უფროსმა უპასუხა: „თქვენც პასუხი უნდა მიგეცათო“. „მისი უდიდებულესობა“ ხმა ამოუღებლივ წამოდგა, წავიდა, იპოვნა ის ვექილი, მოჰკლა დამბაჩით, დაბრუნდა პოლიციაში და უთხრა პოლიციის უფროსს: „თქვენი სურვილი უკვე ასრულდა. ვექილი აღარ გახლავთ ამ ქვეყნად.“

რაც უნდა დიდი ხმაურობა ყოფილიყო ქალაქში დღესასწაულის დროს, საკმარისი იყო ვისმეს ეთქვა: „მეფემ დაიძინაო“ და იმ წამსვე ხალხი დაჩუმდებოდა და დაიშლებოდა.

ხალხი ამბობდა და ამბობს კიდეც კაპუჩოზე: „მას ისეთი საქმე მოუქმედია, რომელთა მგზავსი ისტორიაში არა სწერიაო“.

კაპუჩოს ხელში მილიონებს გაუვლია, მაგრამ თავისთვის არც ერთი გროში არ შეუნახავს და „მეფობას“ რომ თავი დაანება დუქანი გაალო და თივასა და ბზესა ჰყიდდა. დუქანში ვაჭრობდა მისი ლამაზი მეუღლე ანარელდა. თვით კაპუჩო არაფერს აკეთებდა და მხოლოდ გამვლელ გამომვლელთა სალამის მიღება და პასუხის გაცემა ევა კისრად.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: მ)

მ სიღ კარბელაშვილმა გადმოგვცა საყურადღებო წიგნი შესანიშნავის კაცისა.

წიგნი ესე, გადაწერილი მშვენიერის ხელით, არის კრებული სხვა-და-სხვა წერილთა, ვითარცა: იამბიკონი საზნეობრივონი, იამბიკონი გრიგოლ ღვთის მეტყველისანი, იამბიკონი, თქმულნი საქართველოს მეფის დიმიტრიისანი, იამბიკონი ამფილოქესანი, სააპასუქო ცხრილი, კელთა, მოკლე კატეხიზმო მრწამსი, აღსარება ფოტი პატრიარქისა, აღსარება იოანე ღვთისმეტყველისა, აღსარება მიქაელ სვინკელისა, აღსარება ათანასი ალექსანდრიელისა, კითხვა-მიგება ეფთვიმე მთაწმინდელისა (ეს წერილი ამავე დედნით დაბეჭდილია საბაინის მიერ „სამოთხეში“), ქართული კვინკლოსი (ეს არის შრომა წმ. იოანე შავთელისა, რომლის შესახებ ამას წინად გვქონდა საუბარი) და ცხრა თვეთა წმიდათა იამბიკონნი (ამათგან ოთხთა თვეთა იამბიკონნი შედგენილნია კათალიკოზის არსენი ბულმაისიმისშვილისაგან).

კრებული, რომელიც სავსეა ფილოსოფიურისა და საზნეობრივო თქმულებანით, გადაწერილია სულხან საბას მძის ტფილელ მიტროპოლიტის ნიკოლოზის ხელით და შიგა და შიგ მის მიერვე შევსებული.

საყურადღებოვეა ამ ტფილელ მიტროპოლიტის ნიკოლოზის თავგადასავალი.

ჟამთა უკუღმართობამ და უმეტესად მეფის ვახტანგ სჯულმდებლის შორს განუშორებლობამ საქართველოს მოუვლინა დიდი უბედურება: მთელი ქართლი ტფილისითურთ, რომელი მაშინ ითვლებოდა ლამპრად ქართველთა მეცნიერებისა, ერთს დღეს, მხოლოდ ერთს, დაცარიელდა და გამოეკლო მეცნიერებასა და მეცნიერთა.

(შემდეგი იქნება)

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

9 ივნისი

**ბერლინი.** რადგანაც ამომრჩეველთა მრავალ ოლქში უნდა ხელმეორე არჩევანები მოხდეს, ამიტომ იმის გაგება, თუ რა გვარ წევრებისაგან შესდგება მომავალი რეიხსტაგი, შეიძლება მხოლოდ ამ ხელ მეორე არჩევანების შემდეგ. იმის გარდა, რომ სოციალისტებს მოემატათ, გამოირკვა, რომ პოლონელთ 5 ადგილი დაჰკარგეს ნემეცთა დასების შეერთებისა გამო. შემდეგ დააკლდებათ ანტისემიტებს და სამხრეთ გერმანიის სახალხო დ. სს.

**პარიჟი.** სარიენი ელისეის სასახლეში წავიდა და ოფიციალურად იკისრა კაბინეტის შედგენა და დაუყოვნებლივ შეუდგება მინისტრების არჩევას.

**პრაგა.** 7 ივნისს, იმ დღეს, რა დღესაც პალაცკის ძეგლის საძირკველი ჩაჰყარეს, აუარებელი ხალხი შეიკრიბა. საძირკველი ხიდთან ჩაჰყარეს იმ წყლის პირა ქუჩაზედ, რომელსაც პალაცკის სახელი ეწოდება. გამართულ იქმნა ადგილები რჩეულის საზოგადოებისა, ქალაქის თვით მართველობისა, სტუმრებისა და სწავლულთათვის. სტუმრები დანიშნულ ადგილას დიდის დღესასწაულით მოვიდნენ. იმ ქუჩაზედ, რომელზედაც მათი ეტლები მიდიოდა, ორსავ მხარეს აუარებელი ხალხი იდგა, რომელიც ჰყვიროდა: „ჟივიო“, „ნაზდარ“, „ურა“; ფანჯრებიდგან ხელსახოცებს იქნევდნენ და ყვავილებს ისროდნენ. დიდი პატივი სცეს რუსებს. იმათმა მსვლელობამ $1^1/_2$ საათს გასტანა. წინ ცხენებით მიდიოდნენ, მათ სავიმნასტიკო საზოგადოების „სკოლის“ ლეგიონები მისდევდნენ ქვეითად, შემდეგ მიდიოდნენ ნოქრები და ვაჭრები, სტუდენტები, ველოსიპედისტები, სხვა-და-სხვა საზოგადოებანი, კლუბების წევრნი, ქალები, ბავშვები, მხატვრები, ლიტერატორნი, ცეცხლის მქრობელნი,—ყველა ის, ვისაც მემუსიკეთა ხორო ჰყავს და დროშა აქვს. პროცესიაში მონაწილეობას 40,000 კაცი იღებდა. წყლის-პირის ქუჩაზედ იდგა ქალაქის გვარდია, ძველებურ ლამაზ ტანისამოსში გამოწყობილი. სიტყვები წარმოსთქვეს მოურავმა პოდლიპნიმ და მკურნალმა გეროლდმა; შემდეგ ჩაუშვეს ბრინჯაოს ყუთი. ეს ყუთი სავსე იყო საძირკვლის ჩაყრის შესახების ქაღალდებით. ჩაქუჩი პირველად დაჰკრა ლანდმარშალმა, მეორედ—მოურავმა, შემდეგ რიგერმა და სლავიანთა ქვეყნების მრავალმა წარმომადგენელმა. რუსეთის პატივსაცემად დიდი მანიფესტაცია მოახდინეს; ისეთი აღტაცება იყო, რომ იმის აღწერა შეუძლებელია.

**პრაგა.** ავსტრი უნგრეთის ჟურნალისტთა კრების სხდომამ ცოტას ხანს გასტანა. დადგენილებანი წინადვე იყო მომზადებულნი. კრებას დაესწრნენ მარტო ავსტრი-უნგრეთის ჟურნალისტები, სხვა-და-სხვა საგნის შესახებ მორიგება მოხდა. პოლონელთა ჟურნალ გაზეთობა ამიერიდგან მხარში ამოუდგება სლავიანთა ჟურნალ გაზეთობას.

სალამოზედ ჟურნალისტთა ნადიმი იქმნა გამართული ქალაქის კლუბში. დაესწრო 200 კაცი. სლავიანთა ერების—ჩეხებისა, პოლონელებისა, სერბებისა, ხორვატებისა, სლოვაკებისა, სლოვინებისა და გალიციელების წარმომადგენელთა სიტყვები ერთობის აზრით იყო განმსჭვალული. ყველა ლაპარაკობდა შერიგებისა და იმის შესახებ, რომ უნდა დავივიწყოთ შინაური დავა და გავუმკლავდეთ ნემეცთა ძალ-დატანებასაო. პოლონელთაგან ილაპარაკეს: სპასოვიჩმა, პტაშინსკიმ, დანილაკმა, შავინსკიმ, სკაჯიჩევსკიმ, გაზეთების რედაქტორებმა. ყველამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ავსტრიის საქმეში ჩეხების თანახმად ვიმოქმედებთო. რუსთა ორატორების სიტყვებს აღტაცებით მიეგებნენ; მუსიკამ შეასრულა რამდენიმე ადგილი „Жизнь за Царя“-დგან, რამაც კვლავ აღტაცება გამოიწვია.

**მადრიდი.** მანილიდგან მოსული ოფიციალური დეპეშა იუწყება, რომ საქმეთა ვითარება უფრო ცუდად არისო.

ჰავანიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ მეამბოხენი დაეცნენ გერადურს, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენო.

**ვაშინგტონი.** მთავრობამ დეპეშა მიიღო, რომელშიაც ნათქვამია, რომ ადმირალ კამარეს ესკადრა ესპანიის ნავთ სადგურში დაბრუნდაო.

**ბერლინი.** გაზ „Berl. Corr.“-ში წერილია დაბეჭდილი, რომელიც იწვევს სახელმწიფოს არსებულ წესრიგის მომხრე დასის მამულის სიყვარულით განმსჭვალულს ამომრჩევლებს და ურჩევს, რომ ხელ-მეორე არჩევანის დროს უეჭველად ეცადეთ სოციალ-დემოკრატები არ იქმნენ ამორჩეულნიო.

10 ივნისი

**მოსკოვი.** მოსკოვი—ყაზანის რკინის გზის მმართველობა შეუდგა გამოკვლევას ამ ქალაქებ შუა კიდევ მეორე გზის გასაყვანად.

**გიბრალტარი.** მადრიდიდგან ამბავი მოვიდა, რომ რადგანაც საქმეთა ვითარება განსაცდელშია, დონ ფალს განზრახვა აქვს უარი სთქვას ესპანიის სახელმწიფოს საქმეთა მართვა გამგეობაზე.

**ნიუ იორკი.** სანტ-იაგოდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ადმირალის გემზე გარსიას მოლაპარაკება ჰქონდა სამპსონთან შესახებ სანტ იაგოს დაპყრობისა. გარსიამ განაცხადა, რომ 4,000 კაცი მეამბოხე ქალაქიდგან 40 მილის სიშორეზე არიან და 5,000 კაცი კიდევ—გოლგუინში.

ეხლა შეიტყეს, რომ გემს „მერიმაკს“ გზა არ შეუკრავს: გემები ისე დადიან, რომ დაღუპული „მერიმაკი“ არას უშლის.

**ვაშინგტონი.** კუნძულის კუბას იუნტას ამბავი მოვიდა ჰავანიდგან, რომ თავის ნებით ჯარში გასულმა ახალგაზდა კაცმა მარიანა სალვამ თოფი ესროლა ბლანკოს და მარცხენა ფეხში დასჭრა. სალვა შეიპყრეს. ბლანკომ მოუწოდა სამხედრო საბჭოს და თავის ნებით ჯარში გასულთ მოაგონა მათი მოვალეობა მამულის წინაშე.

**კონსტანტინეპოლი.** დიდნი სახელმწიფონი ურჩევენ ოსმალეთს—იხმაროს ყოველგვარი ღონე ბერანის საქმის კეთილად დამთავრებისათვის, რადგანაც ეს საქმე საშიშოა და აგრეთვე დაამშვიდოს ალბანიელები.

**პარიჟი.** რადგანაც შარლ დიუპუიმ უარი სთქვა სარიენის კაბინეტში სამსახურზე, დელკასემაც უარი სთქვა ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე. ჰფიქრობენ, რომ კაბინეტის შედგენაზე მოლაპარაკება დიდხანს გასტანს.

**პარიჟი.** სარიენმა უარი განაცხადა კაბინეტის შედგენაზე.

**მადრიდი.** ხმა დადის, რომ კასტერი დათხოვნილ იქმნება მამავალ კვირას. შესაძლებელია, რომ საგასტა სამსახურიდგან გადადგება და შესდგება ნაციონალური მთავრობა, რომელიც უფრო გაბედვით იმოქმედებს.

**კონსტანტინეპოლი.** ავსტრი-უნგრეთის გემი „ტაურუსი“ გავიდა შავს ზღვაში სამის კვირით; უეჭველია, მივა ოდესისა და ბულგარიისა და რუმინიის ნავთ-სადგურებში.

**მანილია.** სამი დღე გაცხარებული ბრძოლაა. გენერალი მანეტი, რომელიც მანილიის მისაშველებლად მიდიოდა 3,000 კაცით, ჩასაფრებულ ჯარსა და მტერ შუა მოემწყვდა და ადგილობრივი ჯარი მეამბოხეებს მიემხრო. ვინც ცოცხალი დარჩა ესპანიელთა შორის, დამორჩილდნენ. მონეტი მოკლულ იქმნა. აჯანყებულებმა დაიპყრეს ქალაქი მალაბონი.

**მოსკოვი.** ცეცხლი წაეკიდა ნ. კ. პოპოვის თამბაქოს ქარხანას. დაიწვა ოთხ-სართულიანი ქვის შენობა, საქონლითა, ნაწარმოებით და მანქანებით.

პეტერბურგის ბირჟა, 9 ივნისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაცვლილისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 217 | — „ | — „ |
| $4^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 100 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | $100^1/_2$ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | 102 „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | $100^1/_4$ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 285 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — „ | — „ | 247 |


## განცხადებანი

15 მაისიდგან გამართულია

**ხვედურეთის აბანო**

სად. ქარელის მახლობლად

დაწვრილებით ცნობებისათვის მსურველს შეუძლიან მიჰმართოს შემდეგის ადრესით: Ст. Карели. кн. Конст. Цицiанову.

(5—94—2)


Дозволено цензурою, Тифлисъ 10-го Iюня 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.